



ქართული
რაკალთაუი

ფილოლოგიური და ისტორიული
ძიებანი

XVIII

თბილისი 1999

ბიბლიური მელქისედეკი აპოკრიფულ ლიტერატურაში
(ძართული თარგმანების მიხედვით)

აპოკრიფულ ლიტერატურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბიბლიური მელქისედეკის თემას. ძველ აღთქმაში იგი მხოლოდ ორგან იხსენიება – შესაქმეში: 14, 18-20 და ფსალმუნთა წიგნში: 109,4. შესაქმის ქართულ თარგმანში ეს ადგილი ამგვარად იკითხება: მტრებზე გამარჯვებულ აბრაამს საღემის მეფემ მელქისედეკმა გამოუტანა პური და ღვინო და დალოცა იგი: 14,18: „და მელქიზედეკ, მეფემან საღემისამან, გამოართუა აბრაამს პური და ღვინო. ხოლო იყო ეს მღდელი ღმრთისა მადლისაჲ“. 14, 19: „და აკურთხა აბრაამი და თქუა: კურთხეულ არს აბრაამი ღმრთისა მიერ მადლისა, რომელმან დაჰბადნა ცანი და ქუეყანაჲ“. 14, 20: „და კურთხეულ არს ღმერთი მადალი, რომელმან მოგცნა მტერნი შენნი კვლთა შენთა. და მისცა მას აბრაამ ათეული ყოვლისაგან“.

ფსალმ. 109,4: „ყუცა უფალმან და არა შეინანოს: შენ ხარ მღდელ უკუნისამდე წესსა მას ზედა მელქისედეკისსა“.

ძველი აღთქმის ამ ორმა, თითქოსდა უმნიშვნელო პასაჟმა საყუძველი დაუდვა მელქისედეკის შესახებ სხვადასხვა შინაარსის თქმულებებს როგორც ქრისტიანობამდელ, ისე ქრისტიანულ ტრადიციებში.

იუდაურ ქრისტიანობამდელ ტრადიციაში მელქისედეკის შესახებ ცნობები ძალზე პუნწად იყო წარმოდგენილი, ვიდრე ყუმრანში არ აღმოჩნდა ებრაული ყრავმენტები მელქისედეკის მიდრაშისა¹.

ამ აღმოჩენამ ცხადყო, რომ ძველ და ახალ აღთქმას შორის უნდა არსებულიყო შუალედური ტრადიცია პატრიარქთა შესახებ ლეგენდების ციკლისა, კერძოდ, „ნოეს ციკლი“, რომელიც შეიცავდა ლეგენდებს მელქისედეკის შესახებაც, და რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია.²

¹ ქრისტიანობამდელ ლიტერატურაში მელქისედეკის სახეს გარკვეული შტრიხები შემატეს აპოკრიფულმა „შესაქმეში“ (11 Q, XXII, 14-17), ისევე ყლაეისმა და ყილან ალექსანდრიელმა.

² ამ საკითხზე დაწერილებით იხ. И. Д. Амусин, Мидраш Малкицедек (11 Q, Melch.): Тексты Кумрана, вып. 1, Перевод с древнееврейского и арамейского, введение и комментарий И.Д.Амусина, М. 1971, გვ. 287-303. მელქისედეკის მიდრაშის ტექსტი გამოსცა ვან დერ ვუდე, პირველად 1965 წელს (A.S. van der Wude, Melchizedek als himmlische Erlösergestalt in den neugefundenen eschatologischen Midraschim aus Qumran Höhle XI, □ OTST, 1965, XIV, გვ. 354-373), მეორედ 1966 წ. იუნგთან ერთად (M. de Jonge and A.S. Van der Woude, 11Q Melchizedek and the New Testament, NTS, 1966, 12, გვ.301-326). მისი თარგმანები გამოცემულია ინგლისურ და რუსულ ენებზე (J.A. Fitzmyer, Further Light on Melchizedek from Qumran Cave 11-JBL, 1967, LXXXVI, pt.1, gv. 25-41; Тексты Кумрана, гв. 298-300). ვან დერ ვუდე ეს ტექსტი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის დაბოლოებით დაათარიდა და ეანრის მიხედვით კი ესქატოლოგიური მიდრაშის განრს მიაკუთნა.

რაც შეეხება ახალი აღთქმის ლიტერატურას, აქ იგი პირველად „ებრაელთა მიმართ“ პაულეს ეპისტოლეში გაჩნდა: 6,20; 7,1-4, სადაც მან ცენტრალური ადგილი დაიჭირა, როგორც იესო ქრისტეს წინასახემ და წინამორბედმა. აქ ქრისტე გვევლინება, როგორც განხორციელება მელქისედეკისა:

6,20: „სადა-იგი წინამორბედად შევიდა ჩუენთვის იესუ, წესსა მას ზედა მელქისედეკისსა მღდელთმოძღუარ იქმნა იგი უკუნისამდე“.

7,1: „რამეთუ ესე მელქისედეკი, მეყუე საღემისა, მღდელი ღმრთისა მადლისად, რომელი შეემთხვა აბრაჰამს, მო-რამ-ქცეულ იყო იგი მოწყუედისა მისგან მეყუეთამსა, და აკურთხა იგი.

7,2: რომელსა-იგი ათეული ყოვლისა მისგან ნაწილად სცა აბრაჰამ, პირველად ითარგმანების „მეყუე სიმართლისად“, მერმე „მეყუე საღემისად“, რომელ არს მეყუე მშეიდობისა.

7,3: უმამოდ, უდედოდ, ნათესაემოუქსენებელი; არცა დასაბამი დღეთამ, არცა აღსასრული ცხორებისად აქუს, მისგაგესებულ არს ძესა ღმრთისასა და ჰგიეს იგი მღდელად სამარადისოდ.

7,4: იხილეთ-და, რაბამ იყო ესე, რომელსა-იგი ათეული მისცა აბრაჰამ რჩეულთა მათგანი მამათმთავარმან მან“.

ამის შემდეგ მელქისედეკის სახე უზომოდ გაიზარდა და ქრისტიანულ თეოლოგიაში გამორჩეული ადგილი დაიკავა. ქრისტიანულმა აპოკრიფულმა ლიტერატურამაც არ დააყოვნა, აიტაცა ეს თემა და მნიშვნელოვნად განავითარა.

ქართულ ენაზე თარგმნილია მელქისედეკისადმი მიძღვნილი ერთი აპოკრიფი. იგი დაედასტურეთ XI საუკუნიდან XIX-მდე სხედასხვა წლებით დათარიღებულ 12-მდე ხელნაწერში. ეს ხელნაწერებია: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A 535 (XI ს.), A 128 (XII-XIII სს.), A 394 (XVIII ს.), H 2350 (XVIII ს.), Q 92(XVIII ს.), S 3661 (XVIII-XIX სს.), S 139 (XVIII-XIX სს.), H 904 (XIX ს.), S 4534 (XIX ს.), Q 743 (1812-1819 წწ.), A 1049 (1820-1829 წ.წ.), A 381 (1838 წ.).

ხელნაწერებში ამ თხზულების სათაური სამი სხედასხვა ვარიანტით არის წარმოდგენილი: პირველში მას ეწოდება „გამოძიებისათუს მექიზედეკისთუს“ (!), მომდევნო ათ ხელნაწერში - „გამოჩინებისათუს მელქიზედეკისა, ბოლო მე-12 ხელნაწერში კი - „გამოცხადებისათუს მელქისედეკისა“.

ბერძნულ ენაზე ამ თხზულების რამდენიმე ვერსია არსებობს³. ქართულ თარგმანს შეესაბამება ბიზანტიურ მწერლობაში შემდეგი სათაურით ცნობილი თხზულება 'Ιστορία εις τὸν Μελχισεδεκ (τοῦ αὐτοῦ διὰ τὴ ἐκρήθη ὁ Μελχισεδεκ ἀπατῶρ, ἀμῆτῶρ καὶ ἀγνεαλόγητος)⁴.

ქართული თარგმანი შინაარსით მიჰყვება ბერძნულს, ოღონდ მასთან შედარებით საგრძნობლად მოკლეა. თხზულების მიხედვით მელქისედეკი მელქინისა და საღემის შვილია, ჰყავს უფროსი ძმა, ისიც მელქინი. მშობლები წარმართები არიან, ემსახურებიან 12 კერპს. მელქისედეკს კი

³ იხ. BMG, t. III, გვ. 48-49.

⁴ გამოქვეყნებულია ლათინურ თარგმანთან ერთად PG -ის 28-ე ტომში, გვ. 525-630.

ერთი, უზენაესი ღმერთი სწამს, რომელმაც შექმნა ცა და ქვეყანა და ყველა და ყველაფერი ამ ქვეყნად. მელქინს მოსთხოვენ ერთ-ერთ შვილს კერპათების შესაწირად. ატირებულ საღმრთო მამას კმარი ურჩევს, წილი ყარონ და ის ძე შესწირონ კერპებს, რომელიც წილით მამას ერგება. წილისყრის შედეგად სამსხვერპლოდ გაამზადებენ მელქინს – უფროს შვილს. დამწუხრებული დედა შესთხოვს მელქისედეკს, შეიბრალოს ძმა, რომელსაც ეშმაკებს სწირავენ. მელქისედეკი ავა თაბორის მთაზე, გაშლის ხელებს და ღმერთს შექალაქდება, რათა ისინი, ვინც მისი ძმის დასაკლავად არიან მოსული, ჯოჯოხეთში დანთქას.

ღმერთი შეისმენს მის ვედრებას და მელქისედეკის თანატომელებს, ყველას ერთიანად შთანთქავს დედამიწა. მთიდან ჩამოსული მელქისედეკი იხილავს რა ამ სურათს, შეპრწუნებული უკანვე დაბრუნდება თაბორის მთაზე. იგი შვიდი წლის განმავლობაში იმყოფება უდაბურ ტყეში, მარტოდმარტო და შიშველი: ფრჩხილები ერთ წყრთამდე მოეზრდება, თმები – ფეხებამდე, ხოლო ზურგი კუს მერქანს დაემსგავსება.

მეშვიდე წლის შემდეგ აბრაჰამს ზეციდან მოესმის უფლის მოწოდება: „შეაბი შენი კარაულები, ადი თაბორის მთაზე და სამჯერ შესძახე: სადა ხარ, კაცო ღმერთისაო? მოვა შენთან ერთი ველური, გაკრიჭე, დააჭერი ფრჩხილები, შემოსე სამოსელი, ჩამოიყვანე მთიდან და იკურთხე მისგან.“

აბრაჰამი ასედაც მოიტკეპა. მელქისედეკი გადმოვა თაბორის მთიდან, აიღებს რქას ზეთით, სცხებს აბრაჰამს, აკურთხებს მას და ეტყვის: იკურთხოს მაღალი ღმერთის მიერ აბრაჰამი და ამიერიდან აღარ გერქვას შენ აბრაჰამ, არამედ შენი სრული სახელი იქნება აბრაჰამი.⁵

მეორედ უხმობს ღმერთი აბრაჰამს და ეტყვის: რადგან მელქისედეკის ტომიდან დედამიწაზე აღარაინ დარჩა ცოცხალი, ამიტომ მელქისედეკს უნდა ეწოდოს უმამო, უდედო და უნათესაო: „მსგავს არს იგი ძესა ღმერთისასა და ჰგიეს იგი მღვდელად მარადის, და შევიყუარე ეგე, ვითარცა შევიყუარე ძე ჩემი საყუარელი, რამეთუ დაიცვნა მცნებანი ჩემნი“.

ამ აპოკრიფში შემოტანილია ყველა ის თემა, რაც ბიბლიის ხსენებულ წიგნებშია გადმოცემული მელქისედეკის შესახებ (შესაქმე, ფსალმუნთა წიგნი, ეპისტოლე ებრაელთა მიმართ): 1. მელქისედეკი იყო მღვდელი ღმერთისა მაღლისა („კაცი ღმერთისა“), 2. მან აკურთხა აბრაჰამი, 3. ქრისტე მელქისედეკის მსგავსად არის მღვდელი ღმერთისა მაღლისა, 4. მელქისედეკს ეწოდება უმამო, უდედო და უნათესაო („ნათესაემოუკსენებელი“).

ქართული ტექსტი დღემდე შესწავლილი და გამოცემული არ ყოფილა. კ. კეკელიძე მას ნახევრად აპოკრიფულ და ნახევრად ეგზეგეტიკურ ნაწარმოებად თვლის და ფუთვიძე ათონელის თარგმანად მიაჩნია (X-XI სს.).⁶ ქართული თარგმანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბერძნულთან შედარებით მოკლეა, მაგრამ ქართულ თარგმანში არის ერთი ადგილი, რომელიც ბერძნულს არა აქვს და, რომელიც უსათუოდ ქართველი მთარგმნელის დამატებული უნდა იყოს თარგმანში: თაბორის მთაზე ასული მელქიდეკი ასე მიმართავს ღმერთს: „უფალო ღმერთო, ყოელისა მპყრობელო, რომელმან

⁵ შდრ. ბერძნული: οὐκέτι Λοιπὸν καλεῖται τὸ ὄνομα σου Ἄβραμ, ἀλλ' ἔσται τὸ ὄνομα σου τέλειον Ἄβραμ (529, B, 7-8).

⁶ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბ. 1951, გვ. 176-177.

დაბადად ყოველივე, შენ გვედრები, ჭეშმარიტსა ღმერთსა, და მრწამ უხრწნელი და შეუგინებელი, ღმერთი და უფალი ჩუენი, იესუ ქრისტე და სული წმიდაჲ. ისმინე ჩემი, უფალო, რადთა რაედენნი მოსრულ არიან ძმისა ჩუენისა მელქისა, ჯოჯოხეთ ექმენინ მათ ქუეყანაჲ ესე, რადთა დანთქნეს იგი ყოველნი“ (თ. II).

ხაზგასმული ფრაზა ბერძნულ წყაროში არ არის და არც შეიძლება იყოს ყოფილიყო, რადგან მელქისედეკს, ბიბლიური აბრაჰამის თანამედროვეს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო ამ ფრაზით მიემართა ღმერთისათვის. ძველი აღთქმის სიუჟეტი მისი შინაარსის გაუთვალისწინებლად არის შეტანილი ახალი აღთქმის სიუჟეტისათვის ნიშანდობლივი სამების ხსენება. ეს ფაქტი ამაგრებს კეკელიძის ვარაუდს ამ თხზულების მთარგმნელად ეფთვიმე ათონელის მიჩნევისთან დაკავშირებით. ეფთვიმეს თეოლოგიური (ორთოდოქსულ-ქრისტიანული) განწყობილების გამომხატველი ჩართვები მის თარგმანებში სხვა დროსაცაა გამოვლენილი.⁷

ბერძნული წყაროს მიხედვით Μελχι (=მელქინი) მეყუდ იხსენიება, ხოლო Σαλημ-ი (=სალემი) – დედოფლად.⁸ ქართულ თარგმანში მათ ეს ტიტულები არა აქვთ. გარდა ამისა, ბერძნულ ტექსტში მელქისედეკის მამას და უფროს ძმას ჰქვიათ არა მელქინი, არამედ მელქი. საფიქრებელია, რომ „მელქინი“ მოდიოდეს ბერძნული ტექსტის იმ ვარიანტიდან,⁹ სადაც Μελχι-ს ნაცვლად იყო Μελχιη.

PG –ში გამოცემული ტექსტი თხზულების ავტორად ასახელებს წმ. ათანასე აღექსანდრიელს¹⁰. ქართულ თარგმანთან ავტორი არა ჩანს. ტექსტის გაზღაპრებული შინაარსი გვაფიქრებინებს, რომ ამ აპოკრიფის ათანასე აღექსანდრიელისათვის მიკუთვნება გვიანდელი ფაქტი უნდა იყოს და, რომ ქართული თარგმანი მანამდეა შესრულებული, ვიდრე ბერძნულში მას ზემოხსენებულ ავტორს გამოუძებნიდნენ.

*
* *

მელქისედეკის თემა საგანგებოდ ერცლადაა წარმოდგენილი აპოკრიფულ თხზულებაში, რომელსაც ქრისტიანულ მწერლობაში „განძთა ქვაბი“ ეწოდება და რომელიც შექმნილია სირიულ ენაზე და სირიულთან ერთად მხოლოდ არაბულ და ქართულ ენებზე არსებობს. ეს თხზულება მელქისედეკის შესახებ სწორედ ნოეს ციკლის ერთ-ერთ ლეგენდას უნდა შეიცავდეს. ამ ლეგენდის მიხედვით მელქისედეკის ცხოვრების წლები ბიბლიური აბრაჰამის პერიოდიდან გადატანილია უფრო შორს, ბიბლიური ნოეს პერიოდში. რაკი „განძთა ქვაბის“ ტექსტი ბერძნულ ენაზე არ არსებობს, ამიტომ მას ქრისტიანული მწერლობის სხვა ენებზე გავრცელება არ

⁷ ც. ქურციკიძე, გრიგულ ღმერთისმეტყველის XLIII კოშილის ეფთვიმე ათონელისეული თარგმანის თავისებურება, ყიფილოლოგიური ძიებანი, II, თბ., 1995, გვ. 55-57.

⁸ საინტერესოა, რომ ბიბლიურ წყაროებში „სალემი“ ქალაქია, მელქისედეკი კი მისი მეფე, ჩვენს თხზულებაში კი სალემი მელქისედეკის დედაა.

⁹ ბერძნული ტექსტის ეს ვარიანტი PG -ს სქოლიოშია დასახელებული.

¹⁰ PG, XXVIII, გვ. 525 (სქოლიო)

მოუპოვებია. მიუხედავად იმისა, რომ ქართული თარგმანი გამოცემულია,¹¹ იგი ჯერჯერობით ქართველი მკითხველისთვისაც ნაკლებადაა ხელმისაწვდომი, ამიტომ მელქისედეკის თემით დაინტერესებულ მკითხველს ვთავაზობთ ამ ლეგენდის შინაარსს:

კიდობნიდან გამოსვლის შემდეგ, 350 წლის ასაკში ნოე დასნეულდა, შემოიკრიბა შვილები, მიიხმო თავისთან უფროსი ძე – სემი და უთხრა: ჩემი სიკედილის შემდეგ შედი კიდობანში და გამოიტანე იქ დასვენებული ადამის გვამი ჩუმად, ისე რომ ვერაინი შეიტყოს. მოიმარაგე საგზლად პური და ღვინო და წაიყვანე თან მელქისედეკ მართალი, ყალბეგის ძე, რადგან ღმერთმა იგი შეარჩია ჩვენი მამის, ადამის, გვამის მსახურად. წადი და დედამიწის შუაგულში დადგე [ადამის გვამი] და დარაჯად დაუყენე მელქისედეკ მართალი. თქვენ წინ წაგიძღვებათ უფლის ანგელოზი და გიჩვენებთ ადგილს, სადაც უნდა დამარხოთ [ადამი]. ეს ადგილი დედამიწის შუაგულშია და არის ქვეყნის ოთხი კიდის შესაკრებელი. იქ მოხდება ადამისა და მისი მოდგმის გამოხსნა. მე გაფრთხილებ შენ, არაეინ არ უნდა შეიტყოს ამის შესახებ, ვიდრე გამოხსნის დღე არ დადგება. წადით შენ და მელქისედეკ მართალი, მიდით იქ, სადაც ანგელოზი მიგიყვანთ. უთხარი მელქისედეკს, რომ დამეკიდრდეს იმ ადგილას, დედაკაცთან ურთიერთობა არ იქონიოს, „ეწოდოს მას კაცი ღმრთისაჲ ყოველთა დღეთა ცხორებისა მისისათა“ (მთელი ცხოვრების მანძილზე), მან იქ სახლი არ უნდა აიშენოს, არ დაღვაროს სისხლი არც პირუტყვის, არც ნადირის და არც ყრინველისა. დაკლულს მსხვერპლად ნუ შესწირავს, შესწიროს მხოლოდ პური და ღვინო. მას სამოსლად ექნება ნადირის ტყავი, თმა არ მოიკრიჭოს, ფრჩხილები არ დაიჭრას, და „მდღელ მაღლისა ეწოდოს მას“.

მოკვდა ნოე. მისი სიკედილის შემდეგ სემი ისე მოიქცა, როგორც ნოემ დაუბარა: შევიდა ჩუმად კიდობანში, გამოიტანა ადამის გვამი და ჩუმადვე ჩაკეტა კიდობანი. შემდეგ მიიხმო ძმები და ამცნო, რომ მამის ანდერძის თანახმად მიდიოდა „ქუეყანასა“ და „ზღუასა“, რათა გასცნობოდა იმ ადგილებს, „ხოლო თქვენ იყვენით აქა, ადგილსა თქვენსა“ ჩემს ცოლ-შვილთან ერთად. ძმებმა ურჩიეს, რომ თან „კაცები“ წაეყვანა, რადგან „ქუეყანად ოკერ არს და არაეინ მკვდრ არს მუნ და მკვცნი ბოროტ არიან“. სემმა დაამშვიდა ძმები, წინ ანგელოზი წამიძღვება, რომელიც დამიცავსო. ძმებმა მშვიდობის გზა უსურვეს სემს.

სემმა მიმართა ყალბეგს, არყაქსადის ძეს, მელქისედეკ მართლის მამას და იოველდიკას – მის დედას, მომეცით მელქისედეკი, რათა მგზავრობის სიძნელეთა გადალახვაში დამეხმაროსო. მშობლებმა თანხმობა უთხრეს და გზა დაულოცეს.

სემი და მელქისედეკი ადამის გვამითურთ გაუდგნენ გზას. მათ წინ წაუძღვა ღვთის ანგელოზი. ისინი სწრაფად მივიდნენ ქვეყნის შუაგულში („შუა ქუეყანასა“). ანგელოზმა უჩვენა მათ დათქმული ადგილი. როდესაც მასზე დაასვენეს ადამის გვამი, ქვეყნის ოთხივე კუთხე გაიყო, გაიხსნა მიწა,

¹¹ Corpus scriptorum christianorum orientaliū, Scriptores Iberici, tomus 23, La Caverne des Tresors, version géorgienne, éd. par Ciala Kourcikidzé, Lovanii, in Aedibus E. Peeters, 1993. ამავე ტექსტის ფრანგული თარგმანი, რომელიც ეკუთვნის ჟან-პიერ-მაჰეს, გამოცემულია იმავე ჟურნალის 24-ე ტომად: La Caverne des Trésors, Version géorgienne, traduite par Jean-Pierre Mahé, Lovani, 1992.

გეამის მის სიღრმეში მოთავსების შემდეგ, მიწის გახსნილი კიდევები კელაე შეერთდა. ამ ადგილს „თხემის ადგილი“ ეწოდა, რადგან ყოველი ერისთავის იგი არის თავი და ჰქვიან გოლგოთა, იგი ყველა დაბადებულის შესაკრებელია. ეწოდება ადრიფ, რადგან უფალმა ბოროტი გველისა და ასპიტის თავი აქ შემუსრა. ყოველივე ამის შემდეგ სემმა უთხრა მელქისედეკს: დაჯექი აქ და „იყავ მდღელ უფლისა, რომელმან გამოგიჩინა შენ მსახურად წინაშე მისსა“. ნუ მოიწყენ, რადგან ყოველდღიურად ღეთის ანგელოზი გადმოვა შენთან. ამის შემდეგ სემი და მელქისედეკი გამოემშვიდობნენ ერთმანეთს. სემი ძმებთან დაბრუნდა. მელქისედეკის მამამ კითხა სემს შვილის ამბავი, სემმა უპასუხა, გზაში მოკედა და დაემარხო, შეწუხდა დიდად მელქისედეკის მამა¹².

„განძთა ქვაბის“ XXX თავში, რომლის სათაურიცაა „შენებად იერუსალემისა, ვითარ აღეშენა“, მელქისედეკი იერუსალიმის პირველ მეფედ გვევლინება. ეს ეპიზოდი შემდგენაირად გრძელდება: როდესაც მელქისედეკის საქმეების შესახებ შეიტყვეს წარმართმა მეფეებმა – სულ ათმა მეფემ, მივიდნენ მასთან (რომელსაც ერქვა „მეფე მშუდობისა“). როცა იხილეს და მოუსმინეს, შეევედრნენ, რომ თან წაჰყოლოდა. მელქისედეკმა მათ უარით უპასუხა: „ეერ შემძლებელ ვარ განშორებად ადგილისა ამისგანო“. მაშინ მეფეებმა მოითათბირეს ერთმანეთთან, რომ აეშენებინათ მელქისედეკისთვის ქალაქი, რადგან იგი იყო ჭეშმარიტად „მეფე მშვიდობის“ და „მამა მეფეთა“. აუშენეს მელქისედეკს ქალაქი და დასვეს მეფედ. ხოლო მელქისედეკმა ამ ქალაქს ეწოდა იერუსალემი, რაც ნიშნავს: „მთავარი მშუდობისა“¹³.

¹² დასახ. ნაშრ. გვ. 56-61.

¹³ იქვე გვ. 77.

გამოჩინებისათვის მელქიზედეკისა¹

I. 1. შეა ასელა სალი და სალმან შეა მელქინ. და მელქინ იყო წარმართ და ბილწ და აღასრულებნ გებასა კერპთა მიმართ. და შეკრბეს ყოველნი მოყუასნი მისნი და მოჰკდიდეს შესაწირავსა კერპთასა, რამეთუ იყო იგი მადიდებელ ათორმეტთა კერპთა.

2. და პრქუა მელქინ ძესა თუსსა მელქიზედეკს: „წარვედ, შეილო, [A 173] მროწუულად და მომგუარენ შუდნი კბონი ჩჩუნლი და შუენიერნი, რადთა მივსცნეთ ივინი შესაწირავად ღმერთთა ჩუენთათუს“.

3. ხოლო მელქიზედეკ წარვიდა მროწუულად, ვითარცა უბრძანა მას მამამან თუსმან, მსწრაფლ და მყის მეცნიერებად ღმერთისაჲ მოუკდა გულსა მისსა და აღიხილნა თუალნი თუსნი ზეცად და იხილა მზმ და მთოვარმ და ვარსკულაენი და დადგა გონებასა თუსსა და თქუა:

4. „რომელმან შექმნნა ცანი და ქუეყანად და მზმ და მთოვარმ და ვარსკულაენი და ზღუად და ყოველი, რად არს მას შინა, მისა შევსწიროთ შესაწირავი ესე, რომელმან იცნის გულნი კაცთანი, ჭეშმარიტსა და უკუდავსა ღმერთსა მივსცეთ შესაწირავი ესე“.

5. და წარვიდა მელქიზედეკ და პრქუა მამასა თუსსა მელქინს: „მამაო, ვისა შევწიროთ შესაწირავი ესე“? ხოლო მელქინ პრქუა ძესა თუსსა მელქიზედეკს: „ღმერთთა გვლირს მიცემად შესაწირავისა მაგის, შეილო“.

ხოლო მელქიზედეკ პრქუა მამასა თუსსა: „მამაო, შევწიროთ შესაწირავი ესე ღმერთისა დიდისა, რომელ არს ცათა შინა“.

II. 6. ხოლო მელქინს სწრაფით მოჰკდიდეს შესაწირავსა მას კერპთასა და პრქუა ცოლსა თუსსა სალემს: „მოვედ და მივსცეთ [V] ერთი ძეთა ჩუენთაგანი შესაწირავად ღმერთთა ჩუენთათუს“.

7. ვითარცა ესმა ცოლსა მისსა ესე, სალემს, ტიროდა მწარედ, სულთითქუმიდა და თქუა: „ვაიმე, ვაიმე, რამეთუ მუცლად-ვიდე და ვშეე და დაეშუერ და განვზარდე, და აწ არა თუ ღმერთისა შეიწირვის, არამედ ეშმაკთა მიეცემის“. და პრქუა მელქინ ცოლსა თუსსა სალემს: „მოვედ და წილ-ვიგდოთ ერთაჲე ძეთა ჩუენთა ზედა და, რომელიცა მხუდეს მე, მივსცე იგი შესაწირავად ღმერთთა ჩუენთა“.

¹ ტექსტი იცემა ოთხი შედარებით ძველი ხელნაწერის – H 535, A 128, A 394 და H 2350-ის მიხედვით, რომლებიც გამოცემაში შესაბამისად აღნიშნულია A, B, C და D ლიტერებით.

სათ.: გამოჩინებისათვის მელქიზედეკისა გამოძიებისათვის მელქიზედეკისათვის A.

I. 1. ასელა] ასმლ A. სალი] სალი A. მელქინ] მელქილ A. მელქინ 2] მელქინი A. აღასრულებნ] აღასრულებდა A. გებასა] გებად A. შეკრბეს] შეკრბინს A.

2 მელქიზედეკს] მელქიზედეკს D. ჩჩუნლი] ჩუნლი A. ივინი] ივი B.

3. მელქიზედეკ] მელქიზედეკ D. მისსა] თუსსა A. თუსნი – A. გონებასა თუსსა] გუნებასა თუსსა A. თქუა] პრქუა A.

4. ცანი] ცან AB. მზმ] მზმ A, მზე BC. მთოვარმ] მთოვარე BC, მთუვარემ A. მისა] მისსა CD. შევწიროთ] შევსწირო C.

5. მელქიზედეკ] მელქიზედეკ D. თუსსა] თუსსა A. შევსწიროთ CD. თუსსა] თუსსა A. მელქიზედეკს] მელქიზედეკს D. მიცემად – BCD. შესაწირავისა] შესაწირავის CD. მელქიზედეკ D. შევსწიროთ CD.

II. 6. და – A.

7. ვითარცა] ეხე A. მისსა] თუსსა A. ესე – AD. ტიროდა] კსტიროდა D. და ეშე და – BCD. თუ – A. ერთაჲე] ერთა B.

8. და წილ-იგდეს და ხუდა მელქიზედეკ დედასა თუსსა. და მელქინს, მამასა, მიხუდა მელქინ, რომელსა სახელი ერქუა მამისა თუსისაჲ, რამეთუ უხუცესი იყო იგი მელქიზედეკისა და ძმად ერთისაგან დედისა.

9. და ყვეს შესაწირაუები იგი და განმზადეს მელქინ, ძე მათი, შესაწირაუად, და შეკრბა შესაწირაუსა მას ხუთასნი დედანი და კქონდეს მათ თანა ხუთასნი ყრმანი ჩრვლნი და ოთხასნი დედანი ქურინნი, რომელთა კქონდეს ოთხასნი ყრმანი ჩრვლნი. და შესაწირაუი იგი განემზადა.

10. [174r]. ხლო სალემ ტიროდა მწარედ, დაღადებდა და ეტყოდა ძესა თუსსა მელქიზედეკს: „შვილო ჩემო, არა გეწყალისა ძმად შენი მელქინ, რამეთუ არა ღმრთისა შეიწირვის, არამედ ეშმაკთათუს?“

11. ვითარცა ესმა ესე მელქიზედეკს დედისაგან თუსისა, ტიროდა იგიცა ყრიად. და აღვიდა იგი მთასა თაბორსა და განიჰყრნა კვლნი თუსნი ზეცად უყვლისა მიმართ და თქუა:

12. „უყალო, ღმერთო ყოვლისამაყრობელო, რომელმან დაძბადე ყოველივე, შენ გევედრები, ჰეშმარიტსა ღმერთსა, და მრწამს, უხრწნელი და შეუგინებელი, ღმერთი და უყალი ჩუენი იესუ ქრისტე და სული წმიდაჲ. ისმინე ჩემი, უყალო, რადთა რავედენნი მოსრულ არიან დაკლვად ძმისა ჩემისა მელქისა, ჯოჯოხეთ ექმენინ მათ ქუეყანად ესე, რადთა დანთქნეს იგი ყოველნი“.

III. 13. და ისმინა უყალმან ღმერთმან ვედრებაჲ იგი მელქიზედეკისი და მყის განელო ქუეყანად და დანთქნა ყოველნი ტომნი და ნათესაენი მელქიზედეკისნი და არა დაშთა მათგანი არცა ერთი. და გარდამოვიდა მელქიზედეკ მიერ მთით და იხილა, რამეთუ ისმინა ღმერთმან ვედრებაჲ იგი მისი. შიშსა დიდსა შევარდა იგი და მიაქცია და აღვიდა იგი მუნვე [v] მთასა თაბორსა.

14. და შევიდა იგი ტყუთა მალნართა და იქცეოდა მუნ შინა შუდ წელ მარტოჲ შიშუელი, ვითარცა დედისაგან გამოცდა. და იქმნნეს ყრჩხილნი თითთა მისთანი ვითარცა წყრთანი. და თმანი თავისა მისისანი ვიდრე ყერკთამდე და ზურგი მისი იქმნა ვითარცა კეცი კუეისაჲ. და საზრდელად მისა იყო მწუერვალი ხეთად და სასუმელად მისა იყო ცუარი ცისაჲ.

8. მელქიზედეკ] მელქისედეკ D. მამისა მიხუდა] ხლო მამისა თუსსა A. უხუცესი] უხოცეს A. მელქიზედეკისა] მელქიზედეკისსა BC, მელქისედეკისსა D. ძმად] ძმა BCD. ერთისაგან დედისა] ერთისა დედისაგან BCD.

9. განმზადეს] განმზადეს BC. მელქი A. შეკრბა -BCD თანა-A.

10. და -A. თუსსა] თუსა A. მელქიზედეკს D.

11. მელქისედეკს D. დედისაგან თუსისა] დედისა თუსისაგან BCD. აღვიდა] აღქდა D. თაბორსა] თაბურსა A. თქუა] ბრქუა B.

12. დაძბადე ყოველივე] დაძბადე ყოველი A, დაძბადენ ყოველნივე D. მრწამს] მრწამ ABC. ჩემი - A. მელქისა] და A. ჯოჯოხეთ] ჯოჯოხეთი D. ექმენინ] ექმინი A, დანთქნეს] დათქნეს A. იგი] იგინი D.

III. 13. მელქისედეკისი D. დანთქნა] დათქნა A. მელქისედეკისნი D. გარდამოვიდა] გარდამოქდა D. მელქისედეკ D. მიერ - CD. ღმერთმან] უყალმან A. მიაქცია] მიექცა BD. აღვიდა] აღქდა A. თაბორსა] თაბურსა A.

14. ვითარცა] და ვითარცა A. დედისაგან] დედისა A. და - A. იქმნეს A. ყერკამდე A. კეცი კუეისა] კეცი კუეისა D. მისა] მისსა C. საზრდელად მისა] საზრდელი მისი A. სასუმელად] სასუმელი A. მისა] მისი A, მისსა C.

15. და მეშუდისა წლისა შემდგომად კმაე იყო ზეცით აბრაჰამისა და პრქუა: „აბრაჰამ, აბრაჰამ!“ და პრქუა აბრაჰამ: „აქა ვარ, უყალო“. და პრქუა უყლმან: „განმტკიცენ და დაასხენ კარაულთა შენტა, და აღვედ შენ მთად თაბორად და სამგზის კმაყავ, და თქუ, სადა ხარ, კაცო ღმრთისაო? და მოვიდეს შენდა კაცი ერთი ველური და მუკუეცო შენ თმად თავისა მისისაე და მოუყუნე ყრჩხილნი თითთა მისთანი და შემოსო მას სამოსელი, და გარდამოყენაო იგი მიერ მითთ და იკურთხო შენ მისგან“.

IV. 16. და ყო ვგრე აბრაჰამ, ეთარცა უბრძანა მას ღმერთმან. და აღვიდა მთასა თაბორსა, კმაყო და თქუა: „სადა ხარ, კაცო ღმრთისაო?“ და მყის გამოვიდა მელქიზედეე მიერ მითთ და პრქუა აბრაჰამს: „ეინ ხარ შენ?“ ხოლო აბრაჰამ პრქუა მას: „მიბრძანა მე უყალმან ღმერთმან კუეცაე თმათა თავისა შენისათა და მოუყუნად ყრჩხილთა შენთა და შემოსად შენდა სამოსელი და გარდამოყენებად შენდა ამიერ მითთ, რაითა ვიკურთხო მე შენგან“.

17. [175] და გარდამოვიდა მელქიზედეე მითთ თაბორით და მესამესა დღესა მოიღო რქაე ზეთისაე საესე, აკურთხა და სცხო აბრაჰამსა და პრქუა: „კურთხეულ არს ღმრთისა მიერ მაღლისა აბრაჰამი და ამიერთგან არღარა გეწოდოს შენ სახელი აბრაჰამ, არამედ იყოს სახელი შენი სრულ აბრაჰამი“.

18. და იყო მეორედ კმაე ზეცით აბრაჰამის მიმართ და პრქუა: „აბრაჰამ, აბრაჰამ!“ და თქუა აბრაჰამ: „აქა ვარ, უყალო“. და პრქუა უყალმან, რამეთუ: „ნათესაეი მელქიზედეეისი არაეინ დაშთა ქუეყანასა ზედა, ამისთეს ეწოდოს მელქიზედეეს უმამო, უდედო, უნათესაო, არცაღა დასაბამსა დღეთასა. არცაღა შემდგომად ცხორებისა მისისა. მსგავს არს იგი ძესა ღმრთისასა და პგიეს იგი მდღელად მარადის და შეეიყუარე ვგე, ეთარცა ძმ ჩემი საყუარელი, რამეთუ დაიცუნა მცნებანი ჩემნი უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.

15. მეშუდისა წლისა მეშუდესა წელსა A. აბრაჰამისა D. აბრაჰამ, აბრაჰამ] აბრაჰამ, აბრაჰამ D. აბრაჰამ] აბრაჰამ D. ვარ – A. კარაულთა შენთა] კარაულთა შენთა A. მთად თაბორად] მთად თაბორად A. თქუ] თქუ D. უკუეცო მოკუეცე] A. მოუყუნე მოკუეყენ A. შემოსოს] შემოსოს C. გარდამოყენაო] გარდამოყენაო A.

IV. 16. აბრაჰამ] აბრაჰამ D. აღვიდა] აღვიდა D. თაბორსა] თაბორსა A. მელქიზედეე D. მითთ] მითითთ A. აბრაჰამს] აბრაჰამს D. აბრაჰამ] აბრაჰამ D. მოუყუნად] მოუყუნად ABCD.

17. მელქიზედეე D. მითთ თაბორით] თაბორით მითთ A. მოიღო] მოიღო A. ზეთისაე – BCD. აბრაჰამსა] აბრაჰამსა D. აბრაჰამი] აბრაჰამი D. აბრაჰამ] აბრაჰამ CD. აბრაჰამი] აბრაჰამ AC, აბრაჰამ D.

18. აბრაჰამის] აბრაჰამის A. აბრაჰამის D. აბრაჰამ, აბრაჰამ] აბრაჰამ, აბრაჰამ D. აბრაჰამ] აბრაჰამ D. ვარ – A. მელქიზედეეისი D. მელქიზედეეს D. დღეთასა] დღეთა A. იგი 2-CD. ძემ A, ძე D. დაიცუნა A. უკუნითი – C.

C. KOURCIKIDZE
MELKISEDEK BIBLIQUE DANS LA LITTÉRATURE APOCRYPHE
(D'APRÈS LES TRADUCTIONS GÉORGIENNES)

RESUMÉ

Le sujet de Melkisedek biblique a une place particulière dans la littérature apocryphe. En langue géorgienne nous avons la traduction de l'ouvrage "Pour l'apparition de Melkisedek", apocryphe de petite dimension, qui correspond à l'ouvrage, connu dans la littérature byzantine sous le nom: Ἱστορία εἰς τὸν Μελχισεδεκ (τοῦ αὐτοῦ διὰ τὴν ἑκατηθὴ ὁ Μελχισεδεκ ἀπάτωρ, ἀμήτωρ καὶ ἀγένεαλόγητος. Il doit être traduit en géorgien par Euthyme l'Athonite (X^e-XI^e ss). Le sujet de Melkisedek est largement représenté dans l'apocryphe "La Caverne de trésors" qui en langues de la littérature chrétienne sauf l'arabe et le syriaque est conservé en géorgien.